KA040163706868924

საქართველო, თბილისი, 0114, ინგოროყვას ქ. №7; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ 57/სა **01 / მაისი / 2024 წ.**

ბრძანება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების უზრუნველყოფის მიზნით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად წლიური სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს N290 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების უზრუნველყოფის მიზნით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად წლიური სამოქმედო გეგმა, დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ბიუროს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თეიმურაზ ჩიხრაძე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზების უზრუნველყოფის მიზნით, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად წლიური სამოქმედო გეგმა

ამოცანა 1:	**მრავალფეროვანი, თანასწორი და ინკლუზიური დასაქმების სისტემის განვითარება**		
აქტივობა	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**დაფინანსების წყარო**
1.1 საჯარო სამსახურში მრავალფეროვანი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მუდმივმოქმედი საკოორდინაციო საბჭოს შექმნა	საკოორდინაციო საბჭო შექმნილია თითოეული თემის სულ მცირე ერთი წარმომადგენლის მონაწილეობით და 1 შეხვედრა ჩატარებულია	საჯარო სამსახურის ბიუროს წლიური ანგარიში	ადმინისტრაციული ხარჯი
1.2.საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული შშმ პირების სტატუსის შესახებ ინფორმაციის შეგროვების სისტემის პილოტირება	საჯარო სამსახურში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ინსტრუმენტის მიხედვით ინფორმაციის შეგროვების სისტემა პილოტირებულია სულ მცირე ორ საჯარო დაწესებულებაში	საჯარო სამსახურის ბიუროს წლიური ანგარიში	გაეროს განვითრების პროგრამა (UNDP)
1.3 საჯარო მოხელეთათვის შშმ პირების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ელექტრონული სასწავლო კურსის დანერგვა	ელექტრონული კურსი განთავსებულია ერთიან ელექტრონულ სასწავლო პლატფორმაზე (elearning.csb.gov.ge) და ელექტრონული კურსი გავლილი აქვს სულ მცირე 100 საჯარო მოხელეს	ელექტრონული სასწავლო კურსი; კურსზე რეგისტრრიებული მომხმარებლების რაოდენობა	გაეროს განვითრების პროგრამა (UNDP)
1.4. "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ“ საჯარო სამსახურის ბიუროს 2025 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება	ბიუროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია სამოქმედო გეგმა	სამოქმედო გეგმა	ადმინისტრაციული ხარჯი

ამოცანა 2:	**საჯარო სამსახურში შშმ პირების სტატუსის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და საერთაშორისო პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების პროცესის ხელშეწყობა**		
აქტივობა	**აქტივობის შედეგის ინდიკატორი**	**დადასტურების წყარო**	**დაფინანსების წყარო**
2.1. შშმ პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (IDPWD) ღონისძიების ჩატარება	ჩატარებულია ღონისძიება, სულ მცირე 50 პროფესიული საჯარო მოხელის მონაწილეობით	ღონისძიებაზე მონაწილეთა სია	პარტნიორი ორგანიზაციის მხარდაჭერა
2.2. საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლებისათვის შშმ პირების უფლებების შესახებ ტრენინგის ჩატარება	ტრენინგი ჩატარებულია საჯარო დაწესებულებების სულ მცირე 100 თანამშრომლისთვის	საჯარო სამსახურის ბიუროს წლიური ანგარიში	პარტნიორი ორგანიზაციის მხარდაჭერა
2.3. საიფორმაციო შეხვედრების ჩატარება მრავალფეროვანი, თანასწორი და ინკლუზიური დასაქმების პოლიტიკის საკითხებზე	საჯარო მოხელეთა ფორუმი ჩატარებულია საჯარო უწყებების სულ მცირე 70 მონაწილისთვის	ფორუმში მონაწილეთა სია	ადმინისტრაციული ხარჯი; პარტნიორი ორგანიზაციის მხარდაჭერა